უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

23.08.2019

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

თინათინ ბოჭორიშვილი - შპს - "სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის" რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დალი კანდელაკი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;

გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;

ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

აკაკი ხელაძე - შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი;

ქეთევან კოტეტიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორი;

თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ეკატერინე ბაღიშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი - რექტორი

ნაია ჩელებაძე - პრორექტორი

თემურ ტუნაძე - ხარისხსის სამსახური

გოგიტა მშვენიერაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ინგა ზოიძე - სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი

ლელა კუკულაძე, თალიკო ბერიძე - ფილოლოგია

ნონა შუშანიძე - ხელოვნებათმცოდნეობა

რეზო ვასაძე, ნანა ჯაბნიძე - აგრარული მეცნიერებანი

ტარიელ ებრალიძე - არქეოლოგია

იოსებ სანიკიძე - ჟურნალისტიკა

გივი ჭუმბურიძე - მათემატიკა

ბესიკ ბერიძე - საჯარო მმართველობა

სონია ჩეჩელაშვილი, ედვარდ მიქელაძე - ბიზნესის ადმინისტრირება

ია შალამბერიძე, მზია შავაძე - სამართალმცოდნეობა

სულხან ალექსაია - ისტორია

ელზა ფუტკარაძე - ქართველური ენათმეცნიერება

სამონაზვნე ბარბარე (ციალა მეგრელაძე) - განათლება

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

თეიმურაზ ქორიძე - რექტორი

თამარ ტუფინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

დავით გუგავა - სამართლის სკოლის დეკანი

ქეთევან ნანობაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი

მაია თორდია - უნივერსიტეტის წარმომადგენელი

ნინო მეგრელიშვილი - უნივერსიტეტის წარმომადგენელი

მერი გაბედავა - უნივერსიტეტის წარმომადგენელი

რუსუდან კავთიაშვილი - უნივერსიტეტის წარმომადგენელი

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

რეზო კიკნაძე - რექტორი

თამარ ჩხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ლეილა მარუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო ამირანაშვილი

ია ნაცვლიშვილი

სალომე ძაგნიძე

გიგა ხოსიტაშვილი

დიანა მჭედლიშვილი

ია მოსაშვილი

ანა გვრიტიშვილი

დიანა ლეჟავა

გიორგი თუთბერიძე

სხვა დამსწრე პირები:

ანა წამალაშვილი - სტენოგრაფისტი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:10 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ, აღნიშნა, რომ საბჭოს მდივანი ნინო ხოლუაშვილი ვერ ესწრებოდა საბჭოს, შესაბამისად, მან ავტორიზაციის საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ სხდომის მდივნად არჩეულიყო საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა *ტბელ აბუსერისძის* სახელობის სასწავლო *უნივერსიტეტის* ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა განახორციელა გარკვეული აქტივობები სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის. ასევე დანერგა სერვისები, რომლებიც დაეხმარება მათ ამ გეგმით გათვალისწინებული მიზნებს მიღწევაში. მან განმარტა, რომ ამ ეტაპზე სათუოა, რომ დაწესებულებას გააჩნია რეალური რესურსი მიიღოს უნივერსიტეტის სტატუსი. ამ ეტაპზე, არ არის საკმარისი რესურსი დაწესებულებაში, რომ მათ სამეცნიერო აქტივობა განახორციელონ, შესაბამისად ჯერჯერობით თავმჯდომარის მხრიდან გაეწია რეკომენდაცია სასწავლო დაწესებულებას, რომ იფუნქციონიროს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით. რაც შეეხება სწავლებას, აკადემიური პერსონალის სწავლების უნარებსა და გამოცდილებას, თავმჯდომარემ აღნიშნა, საერთო ჯამში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა არის გარკვეული ზოგადი სისუსტეები, რომლებიც ძირითადად ყველა სასწავლო დაწესებულებაში შეინიშნება. იმ შემთხვევაში, თუკი უნივერსიტეტი მოახდენს სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებას, შესაძლებელია ეს მონაცემები შემდგომ გამოყენებული იყოს სწავლების მეთოდების განვითარებისთვის. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკადემიური პროგრამების კუთხით დამაკმაყოფილებელი იყო მდგომარეობა დაწესებულებაში. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის განვითარების საკითხებს, საჭიროა დაწესებულებამ მეტი აქცენტი გააკეთოს კვლევის მეთოდების ცოდნის განვითარებაზე პერსონალში. ასევე, სასურველია დაწესებულებაში კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხების გაძლიერება და ინგლისური ენის ცოდნის განვითარება. მან ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხორციელდება რეგიონისმცოდნეობისა და კავკასიის მიმართულებით კვლევები. თუმცა, საჭიროა ინსტიტუციაში გაძლიერდეს შიდა მხარდაჭერის მექანიზმები და მოიძებნოს უფრო მეტი რესურსი კვლევების განხორციელებისთვის. ასევე, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულება გარკვეულწილად მუშაობს, თუმცა საჭიროა უფრო მეტად სისტემური მიდგომა, მათ შორის კვლევების ინტერნაციონალიზაციისთვის. ასევე, თავმჯდომარემ დასძინა, რომ საინფორმაციო სისტემები უნივერსიტეტის შიგნით თითქმის არ არსებობს. საჭიროა მათი განვითარება, ასევე ვებგვერდის განახლება, საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა. ამისთვის გააჩნია დაწესებულებას გეგმა და საჭიროა ამ სფეროს განვითარებისთვის მისი განხორციელება. ასევე, მან განმარტა, რომ აუცილებელია ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით მუშაობა, როგორც აკადემიური, ასევე, ადმინისტრაციულ სტრუქტურებში დასაქმებული პირების

განვითარებისთვის. მან განმარტა, რომ ჯგუფის მხრიდან გაკეთდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც დაწესებულების განვითარებისაკენ არის მიმართული.

საერთაშორისო თავმჯდომარის პანდელის იპსილანდის მიერ რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტებს, რომ წარმოედგინათ ძირითადი მიმოხილვა სტანდარტების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ადგილობრივმა ექსპერტებმა:

• სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტთა მიღების პოტენციური შემცირების საკითხს, როგორც ეს ნაჩვენებია მიზნობრივი მაჩვენებლების თანაფარდობაში ფაკულტეტის დონეზე. განხილულ უნდა იქნეს შესაბამისი წაზალისების სტრატეგიები და აქტივობები, რომელთა მიზანი იქნება უნივერსიტეტისა და პროგრამების მიმზიდველობის გაზრდა პოტენციური სტუდენტებისათვის.

• სამოქმედო გეგმის ყველა ნაწილი უნდა იზომებოდეს შესრულების გაზომვადი რაოდენობრივი ინდიკატორებით, უკავშირდებოდეს შესაბამისი ბიუჯეტის ოდენობას და ადამიანური რესურსების საჭიროებას, რათა უზრუნველყოს დაკავშირებული ქმედებების მიღწევადობა.

• სამოქმედო გეგმას უნდა დაემატოს ქმედებები უნივერსიტეტის მიერ, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლაში ჩართვის შესახებ.

• უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ დაწესებულების მმართველ ორგანოებში არჩევა/დანიშვნა ხდებოდეს წინასწარ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში, კანდიდატებთან მათი ხედვისა და გეგმების თაობაზე გასაუბრების საფუძველზე. მენეჯერული საქმიანობა უნდა შეფასდეს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ნაწილი. • უნივერსიტეტმა უნდა დააარსოს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული.

• უნივერსიტეტმა მართვაში უნდა გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტაციის ელექტრონული წარმოების სისტემა.

• მნიშნველოვანი ყურადღება და ფინანსური რესურსები უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის განვითარებას, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის მკაფიო სტრატეგიის შემუშავებას დაწესებულების ყველა სფეროში. ეს საჭიროებს მეტი გაცვლითი შესაძლებლობების შექმნას, მეტ ოფიციალურ და დაგეგმილ კავშირებს საერთაშორისო პარტნიორებთან.

• ერთი ადამიანის რამოდენიმე განსხვავებულ პოზიციაზე დანიშვნისას დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მისი საქმიანობის ეფექტიანობა და თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი.

• უნივერსიტეტმა უფრო მეტად უნდა განავითაროს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა PDCA ციკლის შესაბამისად.

• უნივერსიტეტმა უნდა გამოყოს საკმარისი ადამიანური და საინფორმაციო რესურსები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად.

• უნივერსიტეტმა უნდა აამაღლოს ცნობიერება დაწესებულების მასშტაბით ხარისხის კულტურის საჭიროების შესახებ (განსაკუთრებით ახლად დაარსებულ ერთეულებში).

• კურსის შეფასების შედეგები უკუკავშირის ფორმით უნდა მიეწოდოს უშუალოდ შესაბამის ლექტორებს. შედარებითი შესრულების ხარისხი (პროცენტული პოზიცია) უნდა იქნეს შეტანილი პერსონალისთვის მიწოდებულ უკუკავშირში.

• უნივერსიტეტმა, ასევე, უნდა მიიღოს რიგი ალტერნატიული მექანიზმებისა სტუდენტთა ინფორმირებისათვის ინსტიტუციის პოლიტიკაზე პლაგიარიზმთან და მის შედეგებთან დაკავშირებით.

• უნივერსიტეტის პლაგიარიზმის პროცედურები უნდა იყოს მკაცრად კონტროლირებადი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი წარმოადგენენ პლაგიარიზმის გამოვლენისა და აღკვეთის აქტიურ და ეფექტიან საშუალებას. აუცილებელია პლაგიარიზმის გამომვლენი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.

• აღმოიფხვრას ყველა შეუსაბამობა სხვადასხვა პროგრამისათვის გამოყენებულ პროგრამების დაგეგმვის რეგულაციებში. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ წესები უნდა იყოს მკაფიო.

• უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების მკაფიო და თანამიმდევრული გამოხატვა, ისე, რომ ისინი სრულად შეესაბამებოდენ პროგრამის სახელწოდებას, შინაარსს, სტრუქტურას და დონეს. აკადემიური პერსონალი უნდა იყოს სათანადოდ მომზადებული, რათა აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში. კარგი გამოცდილება უნდა იქნეს გაზიარებული.

• უზრუნველყოფილ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები ასახავდეს პროგრამის კომპონენტების სპეციფიკას და სწავლის შედეგების მიღწევას.

• უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

• დაზუსტდეს საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კრიტერიუმები და დაწესდეს გამჭვირვალე კრიტერიუმები შიდა მისაღები სამაგისტრო გამოცდისათვის.

• დაზუსტდეს "საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების წესში" ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა შესაძლო შემთხვევა.

• აკადემიური პერსონალი დატრენინგდეს სწავლის შედეგების მეთოდოლოგიაზე.

• უზრუნველყოფილ იქნეს სამაგისტრო ნაშრომის ხელახალი დაცვის პროცესის შესაბამისობა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებასთან "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ"

• გამრავალფეროვნდეს და დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების რუბრიკები.

• დეტალურად განისაზღვროს წესები/ინდიკატორები პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად არსებული 0-5 ქულიანი შეფასების სქემისათვის. შემუშავდეს მიზნობრივი ნიშნულები პერსონალის მიერ შესრულებული სამუშოსთვის.

• პერსონალის შეფასების შედეგების გათვალისწინებით განისაზღვროს პერსონალის წახალისების დეტალური პრინციპები.

• გამჭვირვალობისა და ხარისხის კულტურის დამკვიდრებისათვის აკადემიური პერსონალი უნდა იღებდეს სტუდენტთა მიერ კურსის შეფასების შემაჯამებელ ანგარიშს, მათ მიერ ყოველ სემესტრში მიწოდებული თითოეული კურსისათვის.

• უზრუნველყოფილ იქნეს მმართველ ორგანოებსა და გადაწყვეტილების მიმღებ ერთეულებში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მეტი წარმომადგენლობა და არჩევითობა.

• გაიზარდოს ფინანსირება პერსონალის პროფესიული (დიდაქტიკურ და სამეცნიერო) განვითარებისთვის.

• დაწესდეს საგანმანათლებლო, კვლევითი და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის მიზნობრივი ნიშნულები აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის და დაიწყოს მუშაობა მათ გაუმჯობესებაზე.

• უნივერსიტეტმა უნდა დაასრულოს და გამოსცეს "ცნობარი სტუდენტთათვის".

• სტუდენტებს ხელი უნდა შეუწყოთ სტუდენტური კავშირის ფორმირებაში. უნივერსიტეტი უნდა დაეხმაროს მათ და უზრუნველყოს სათანადო სამუშაო ფართითა და უნივერსიტეტის ვებ-საიტზე გამოყოფილი სივრცით.

• უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ იყოს ადვილად ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის.

• უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობაზე, რათა შექმნას საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები სტუდენტებისათვის.

• უნივერსიტეტის ვებ-საიტმა უნდა მოიცვას სტუდენტებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომ სივრცეში. დაკავშირებული ინფორმაცია უნდა ექვემდებარებოდეს რეგულარულ განახლებას და უკავშირდებოდეს სტუდენტებს ოფიციალური Facebook-ის გვერდის, ელ-ფოსტის და სხვა საშუალებებით.

• უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ოფისებმა ითავოს დამსაქმებლებთან მუშაობა შემდგომი სტაჟირებისა და პრაქტიკის შესაძლებლობების გამოსავლენად.

• უნივერსიტეტმა უფრო მეტად ბალანსირებული გზით უნდა გააძლიეროს მისი კვლევითი პროფილი აკადემიურ პერსონალში, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კვლევების დღის წესრიგი, მოახდინოს ისეთ კვლევით სფეროებზე ფოკუსირება, რომლებიც უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად მნიშვნელოვანია რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

• უნივერსიტეტის გამომცემლობამ უნდა დააწესოს რეცენზირების პროცესი გარე შემფასებლების მონაწილეობით, რათა უზრუნველყოს გამოქვეყნებულ ნაშრომთა ხარისხი და დაიმკვიდროს თავი სამეცნიერო ნაშრომების სანდო საგამომცემლო ცენტრად.

• უნდა განხორციელდეს სამაგისტრო პროგრამების სამეცნიერო კომპონენტების ხელმძღვანელობისა და შეფასების ერთიანი მიდგომა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამაგისტრო ნაშრომების უფრო მეტად ერთგვაროვანი ხარისხში სხვადასხვა ფაკულტეტებზე.

• შემუშავდეს კვლევების ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მტკიცე გეგმა

• ქართველოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტის სტრატეგიული გეგმა უნდა იყოს უფრო თანამიმდევრული და დეტალების ნაცვლად, ფოკუსირდეს ძირითად კვლევით საკითხებზე.

• შემუშავდეს სათანადო ადმინისტრაციული სტრუქტურა ქართველოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის.

• უფრო აქტიურადმოხდეს მაგისტრანტების ჩართვა კვლევით საქმიანობასა და შედეგების გავრცელების აქტივობებში.

• აკადემიური პერსონალის რეკრუტირებისას გაითვალისწინეთ მოთხოვნილი უნარების ქონა და საერთაშორისო კვლევითი გამოცდილება.

• გააძლიერეთ სამეცნიერო პერსონალის გადამზადება კონკურენტუნარიანი კვლევითი წინადადებების მომზადების უნარების მიმართულებით.

• განავითარეთ კვლევითი აქტივობის შეფასების სისტემა პერსონალის, ფაკულტეტისა და კვლევითი ინსტიტუტის დონეებზე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც დამყარებული იქნება გამჭვირვალე კრიტერიუმებზე, მათ შორის კვლევითი პუბლიკაციების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტანდარტებზე.

• ყველა აუდიტორია უნდა აღიჭურვიოს კომპიუტერებით და პროექტორებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო პროცესის ხარისხი (სხვაგვარად არ არის საჭიროება არსებობდეს კომპიუტერები მხოლოდ ლექტორებისათვის).

• შენობები უნდა აღიჭურვოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით: ცეცხლის ჰიდრანტებით, ხოლო ცეცხლმაქრები უნდა იქნეს განთავსებული ყველა შენობის ყველა სართულზე.

• გადაუდებელი დახმარების შესაბამისი სამსახურის საკონტაქტო ტელეფონები უნდა იქნეს განთავსებული ფოიეებსა და თითოეულ საკლასო ოთახში.

• უნივერსიტეტის შენობები უნდა იქნეს ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისადმი (ყველა ადმინისტრაციული ოფისი, ბიბლიოთეკა, ტუალეტები).

• უნდა დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობის სისტემა.

• ტუალეტებში წყალმომარაგების სისტემა უნდა მუშაობდეს (ძირითად შენობაში 3-4 სართულზე).
• მამაკაცთა საერთო საცხოვრებელში უნდა დაემატოს სულ მცირე ერთი საშხაპე მაინც (ამჟამად ერთია 12 სტუდენტზე).

• ბიბლიოთეკა კარგად უნდა იცნობდეს სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენებას და უნდა ატრენინგებდეს სტუდენტებსა და ფაკულტეტის წევრებს. სამეცნიერო მონაცემთა ბაზებით სარგებლობის სტატისტიკა საჭიროებს მონიტორინგს, ხოლო ხელშეწყობის აქტივობები უნდა იქნეს დაგეგმილი შესაბამისად.

ბიბლიოთეკის სამუშაო საათები უნდა გაიზარდოს არანაკლებ 60 საათამდე კვირაში, 6 დღეზე განაწილებით.

• საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესს და უზრუნველყოფდეს მის წარმატებულ განხორციელებას.

• IT რისკების მენეჯმენტი უნდა იყოს ეფექტიანი, მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილი, ხოლო საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობა უნდა ფასდებოდეს.

• სწავლის საინფორმაციო და სწავლის მენეჯმენტის სისტემა უნდა იქნეს დანერგილი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებების ხარისხი.

• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი უნდა აგროვებდეს მთელ ინფორმაციას პროგრამების, მომსახურებების, აქტივობების შესახებ და ექვემდებარებოდეს რეგულარულ განახლებას როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

• ბიზნესუწყვეტობის გეგმა საჭიროებს განახლებას.

• ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს მიმდინარე კვლევითი აქტივობების შესაბამისად, პრიორიტეტი მიენიჭოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების პროგრამებს.

• სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად ზოგჯერ უნდა ჩატარდეს ფინანსური აუდიტი და მისი ანგარიში გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართავს საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე ექსპერტებს ხომ არ უნდათ მათ რაიმეს დამატება პირველ სტანდარტთან დაკავშირებით. შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უპასუხონ ექსპერტების მოსაზრებებს არგუმენტირებული პოზიციით.

მეუფე სპირიდონმა, დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ფუნქციონირებს 2008 წლიდან, უკვე 13 წელია. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის და ასევე, აღნიშნა უნივერსიტეტის დამსახურება. ასევე, მადლობა გადაუხადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტისა სამინისტროს. მან განმარტა, რომ რეგიონს სჭირდება საგანმანათლებლო დაწესებულება. მან აღნიშნა, რომ საბერძნეთსაც აქვს მსგავსი პრობლემა, რაც საქართველოში დგას მაღალმთიან რეგიონებში, რომ ბევრი სხვა რელიგიისა და კულტურის წარმომადგენელი საფრთხეს უქმნის არსებულ კულტურულ იდენტობას. მან აღნიშნა, რომ ბევრ სხვადასხვა უნივერსიტეტთან უკვე გაფორმდა ხელშეკრულებები, აქედან ორი საერთაშორისო უნივერსიტეტია, ასევე საჯარო ბიბლიოთეკასთან არის ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მისია შესაბამისობაშია სტანდარტთან და კარგად ჩანს, რომ დაწესებულება არ არის ბიზნესზე ორიენტირებული. მან შემდგომ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რომელის ეხებოდა სტრატეგიულ განვითარებაში არსებულ შეფასებას, რომელიც არის მეტწილი შესაბამისობა, მან სთხოვა ექსპერტებს განემარტათ ამ შეფასების მიზეზი.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა აღნიშნა, რომ როგორც ტექსტში ჩანს ზოგიერთ პროგრამაზე საერთოდ არ იყვნენ ჩარიცხვის მსურველები, შესაბამისად ეს იყო მიზეზი ამ შეფასების.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა, მიმართა მისიასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ 2018 წელს მოხდა მისიის თავიდან ჩამოყალიბება, თუმცა, მასში არ არის ეს რეგიონული მნიშვნელობა ასახული, მისიაში გამოყენებულია ისეთი ზოგადი ფრაზებია, რომ ნებისმიერი უნივერსიტეტის მისიისთვის გამოდგებოდა. ბატონმა ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ ეს რეგიონალური მნიშვნელობა ყოფილიყო ასახულიყო მისიაში.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა დასვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის გამზადდა დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ წარადგინა ვიზიტებზე. ექსპერტი ნინო ამირანაშვილი განმარტავს კონკრეტულ სტანდარტთან დაკავშირებით, რომელზეც ის მუშაობდა თავის მოსაზრებას. მან დაადასტურა, რომ ყველა დოკუმენტი რაც იყო წარმოდგენილი, რეალურად ვიზიტამდე იყო შემუშავებული. ასევე, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ ტექსტი უფრო მეტად კრიტიკულია ვიდრე შეფასება. თუმცა ამ შეუსაბამობის მიზეზი იყო დაწესებულების რეგიონული მნიშვნელობა. იმედს გამოთქვამენ, რომ რეკომენდაციები რაც იქნა მიცემული იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა დაწესებულებას საბჭოს სხდომაზე დაწესებულებას რეკომენდაცია მისცა, რომელიც ეხებოდა იმ საკითხს, რომ უნივერსიტეტს არ აქვს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული. ასევე, ქალბატონმა დალი კანდელაკმა დასვა კითხვა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, მისი თქვა, რომ დაწესებულებას აქვს ორი მემორანდუმი საერთაშორისო უნივერსიტეტთან, მათ შორისაა როსტოვის უნივერსიტეტი. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულებიდან როსტოვის უნივერსიტეტში გაიგზავნა 15 სტუდენტი რუსული ენის ასამაღლებლად, იმ ფონზე როდესაც საქართველოში არის რესურსი რომ აამაღლო რუსული ენის ცოდნა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ამ ვიზიტს რაიმე სხვა მიზანი რომ ჰქონოდა კიდევ გასაგები იქნებოდა. მას აინტერესებდა, თუ რატომ შეირჩა პარტნიორ ქვეყნად რუსეთი, როდესაც როდესაც ასეთი ვითარებაა ქვეყანაში.

დაწესებულების რექტორმა, აღნიშნა, რომ მათი უნივერსიტეტი არ არის პოლიტიკური უნივერსიტეტი. მან აღნიშნა, რომ სადღაც ხომ უნდა მოხდეს სტუდენტების გაგზავნა დაწესებულების მხრდიან, რადგან რეალურად ყველა მეზობელთან შეიძლება გარკვეული ეთნო კონფლიქტების წარმოქმნის საშიშროება არსებობდეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, რიმა ბერიაშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთთან გამორიცხულია საქართველოს ჰქონდეს აპოლიტიკური დამოკიდებულება.

საბჭოს წევრმა, ქეტევან კოტეტიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. მისი განმარტებით, ინტერნაციონალიზაცია ეხება მეორე და მეექვსე სტანდარტსაც. უნივერსიტეტის პოლიტიკა ითვალისწინებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, რაც გულისხმობს მათთვის უფასო ბინის და სწავლების შეთავაზებას. საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს თხოვნით, რომ განემარტათ, თუ რომელ უცხოელ სტუდენტებზე საუბრიობდნენ. ასევე, აინტერესებდა გაერკვია, თუ რატომ უნდა სწავლობდნენ და ცხოვრობდნენ ისინი უფასოდ. საბოს წევრის, ქეთევან კოტეტიშვილმა აღნიშნა, რომ შეიძლება დაშვებული იყოს გამონაკლისი ქართველოლოგიაზე, მაგრამ მან დასძინა, რომ არ ესმის თუ რატომ უნდა ისწავლებოდეს უფასოდ მაგალითად მათემატიკა.

რექტორმა აღნიშნა, რომ ახლა დაწესებულებაში არის 19 სტუდეტი აზერბაიჯანიდან, მან განმარტა, რომ ფერეიდნელ ქართველებზეა საუბარი. დაწესებულება არსებობს 2008 წლიდან რომელშიც უნდა ყოფილიყო სასჯელაღსრულების დაწესებულება, ახლა კი ეს არის პანსიონური დაწესებულება.

ექსპერტმა ნინო ამირანაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული ხარისხის სამსახური არ მუშაობდა ეფექტურად, შესაბამისად, არ შეესაბამებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები და პერსონალის კვალიფიკაცია და რაოდენობა შესასრულებელ სამუშაოს. სტრუქტურაში მუშაობდა ორი თამანშრომელი იყო, აქედან ერთი მუშაობდა ნახევარ განაკვეთზე. ასევე ექსპერტმა განმარტა, რომ საჭიროა ხარისხის კულტურის შესახებ ცნობადობა გაიზარდოს დაწესებულებაში, განსაკუთრებით იმ სტრუქტურებში, რომლებიც ახალი შექმნილია.

ბატონმა თემურ ტურაძემ, დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა ხაზი გაუსვა ექსპერტთა ჯგუფის პროფესიონალიზმს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაციები დაწესებულებაში განიხილეს აკადემიურ საბჭოზე, ასევე განხილულ იქნა ლოგიკური ვადებისა და საკითხების შესაბამისობა, ამ პროცესების განხორციელება დაიწყება სექტემბრიდან. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტში არსებობს პერსონალის შეფასების მექანიზმი, თუმცა ეს არ არის დასრულებული, რადგან არ ახლავს სამიზნე ნიშნულები. სექტემბრიდან ფაკულტეტებზე შემუშავდება სამიზნე ნიშნულები და პერსონალის შეფასების წესს დაერთვება უკვე სამიზნე ნიშნულები.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა კითხვით დაწესებულებას, რამდენად იქნა ასახული ვიზიტის შემდგომ ის რეკომენდაციები, რომლებიც ვიზიტის შემდეგ იქნა გაცემული.

ბატონმა თემურ ტურაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები აკადემიურ საბჭოზე განხილულ იქნა, თუმცა იმის გამო, რომ აგვისტოა ამ ეტაპზე მთლიანი პერსონალის შეკრება ერთიანად ვერ მოხერხდა.

ექსპერტმა ნინო ამირანაშვილმა წარმოადგინა 2.3. ქვესტანდარტი - ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები. მან აღნიშნა, რომ ვიზიტებზე დადასტურდა, რომ სტუდენტები და პერსონალი იცნობენ ეთიკის კოდექსს. მათ ჰქონდათ ინფორმაცია პლაგიატის შესახებ, თუმცა ამ ინფორმაციის მიწოდების ფორმალიზებაა საჭირო. მან კიდევ აღნიშნა, რომ ვებგვერდი არ მუშაობდა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სილაბუსებში პლაგიატი არ იყო ნახსენები, თუმცა სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოჩნდა, რომ მათ ჰქონდათ პლაგიატზე საუბარი პროფესორებთან. მან განმარტა, რომ უკეთესი იქნებოდა დაწესებულებას ჰქონდეს გარკვეული ელექტრონული პროგრამა, რომლითაც შეამოწმებენ პლაგიატს.

გოგიტა მშვენიერაძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში შეიძინეს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკისგან პლაგიატის შემოწმების მომსახურება, ეს ხელშეკრულება გაფორმებულია და ეს დოკუმენტაცია იყო წარმოდგენილი ვიზიტებზე, ხოლო პლაგიატის შესახებ პლაგიატის წესსა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში არის მითითებული. ვიზიტის პროცესში ჯერ არ იყო ნაშრომები შემოწმებული. ასევე, მან დასძინა, რომ ავტორიზაციის განახლებულმა სტანდარტმა მოითხოვა, რომ ვებგვერდი შეცვლილიყო მთლიანად. შესაბამისად, ვებგვერდი უკვე შეცვლილია და ამუშავდება ორშაბათიდან.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის, მარიამ დარბაიძის აზრით, როდესაც ავტორიზაციაზე შემოაქვს დაწესებულებას განაცხადი მას უნდა ჰქონდეს შესაბამისად შესრულებული სტანდარტები. საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ წამოსვლამდე შევიდა ვებგვერდზე და საკმაოდ გაურკვეველ შთაბეჭდილებას ტოვებს ვებგვერდი.

ექსპერტმა ნინო ამირანაშვილმა აღნიშნა, რომ ინტერვიუებზე დადასტურდა, რომ დაწესებულება აცხადებდა მზადყოფნას გამოიყენოს პლაგიატის პროგრამა. ექსპერტმა განმარტა, რომ შესაძლებელია იყოს დასკვნის თარგმანის პრობლემა და ამიტომ იყოს გარკვეული აცდენა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რაზეც ისაუბრა ექსპერტმა ეს მეტწილი შესაბამისობის შეფასებას არ იმსახურებდა. მან განმარტა, რომ სამომავლოდ კარგი იქნება თუ გათვალისწინებული იქნება ეს მომენტი.

ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში. დაწესებულებას აქვს 23 პროგრამა წარმოდგენილი, აქედან 11 მაგისტრატურა და 10 საბაკალავრო პროგრამა. ასევე, წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულებას 300 კრედიტიანი ინტეგრირებული მასწავლებლის პროგრამა. ექსპერტის თქმით, 3.1 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 3.2 არის ნაწილობრივ შესაბამისობაში. ექსპერტის აზრით, ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ პროგრამები არ არის შესაბამისობაში ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, ჰქონდათ თუ არა მათ გეგმა, რომ პროგრამები ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოეყვანათ, რადგან ეს არის ძალიან შრომატევადი საქმე.

ბატონმა თემურ ტურაძემ განმარტა, რომ ახალი სემესტრიდან იგეგმება პერსონალის ტრენინგები ამ მიმართულებით. პირველ ეტაპზე პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მორგებაზე ორიენტირებული ტრენინგები, ხოლო მეორე ეტაპზე იგეგმება სილაბუსების ინტეგრირებასთან დაკავშირებული ტრენინგები.

დიანა მჭედლიშვილი აღნიშნავს, რომ დასკვნაში იყო აღნიშნული, რომ პროგრამები გადახედილიყო. თუნდაც საფეხურთან მიმართებით შესაბამისობა ყოფილიყო გადამოწმებულიყო. ასევე, მან განმარტა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები არ იყო შემუშავებული, მხოლოდ იმ პროგრამის, რომელიც სააკრედიტაციოდ იყო გამზადებული. ასევე, ვიზიტის დროს და არც ახლა არ იყო ვებგვერდზე პროგრამების კატალოგი განთავსებული. გარდა ამისა, ხარვეზები დაფიქსირდა დებულებებსა და პროგრამების სტრუქტურასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით. დებულებაში აღნიშნული იყო, რომ ყველა პროგრამაში უნდა ყოფილიყო საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტის ოდენობით, თუმცა იყო პროგრამები, სადაც არ გვხვდებოდა ნაშრომი. მისი განმარტებით, სტუდენტების მიღების კრიტერიუმებთან დაკავშირებითაც იყო გარკვეული პრობლემა. მაგალითად, არ მოდის შესაბამისობაში მინისტრის მესამე ბრძანებასთან, რადგან ნაშრომის დაცვაზე ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია იმავე სემესტრში იგივე ნაშრომი ხელმეორედ გაიტანოს დაცვაზე, რაც არ შეესაბამება აღნიშნულ ბრძანებას. საბჭოს წევრს, ლევან იმნაიშვილს ჰქონდა კითხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან, თუ რატომ არის მაგისტრანტების რაოდენობა უფრო მეტი ვიდრე ბაკალავრების. რექტორმა აღნიშნა, რომ თავიდან ძალიან ბევრი სტუდენტი იყო ბაკალავრი. არის ისეთი სპეციალობები რომლებიც უფასოა ბათუმში და ბაკალავრიატზე არჩევენ, ხოლო შემდეგ აგრძელებენ სწავლას მაგისტრატურაში მთაში.

უფასოა ბათუმში და ბაკალავრიატზე არჩევენ, ხოლო შემდეგ აგრძელებენ სწავლას მაგისტრატურაში მთაში.

საბჭოს წევრმა რიმა ბერიაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არსებობს დაწესებულებაში საექთნო საქმე. ეს არის დეფიციტური, როდესაც ¼ უნდა იყოს შეფარდება საქართველოში რეალურად პირიქით არის. მან იკითხა, პროგრამა პროფესიულია თუ საბაკალავრო.

რექტორმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამაა, პროფესიულიც და საბაკალავროც. ადრე პროგრამას ერქვა უმაღლესი პროფესიული და იყო 3 წლიანი. მან აღნიშნა, რომ არ იარსებებდა დღეს ბათუმის უნივერსიტეტი, რომ არა სახელმწიფოსგან დახმარება. მან სთხოვა საბჭოს წარმომადგენლებს, რომ უფრო ხშირი ვიზიტები განხორციელდეს, რომ უნივერსიტეტი უფრო გაძლიერდეს.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ შეფასების გასაჩივრების სისტემა ძალიან გართულებულია, მიუხედავად იმისა, რომ არავის გაუსაჩივრებია დაწესებულების არსებობის განმავლობაში. რექტორმა განმარტა, რომ როდესაც წარდგება სტუდენტი ნამუშევრით ეტყობა მისი ნამუშევარია, თუ პლაგიატი.

ავტორიზაციის ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა წარადგინა მეოთხე სტანდარტი. პირველი რეკომენდაცია ეხება იმას, რომ დეტალურად გაიწეროს ის წესები და ინდიკატორები, რომლითაც მოხდება პერსონალის შეფასება. სამი კრიტერიუმის მიხედვით ხდება პერსონალის შეფასება: სამეცნიერო აქტივობა, სასწავლო აქტივობა და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა. 0-დან 5-მდე ხდება შეფასება. ექსპერტის განმარტებით, ქულის მიენიჭება როგორ ხდება ეს არ არის განსაზღვრული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამის დაკონკრეტება და განხორციელება მოხდება. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს კვლევითი ინსტიტუტები და ყველა აკადემიური პერსონალი არის ასევე სამეცნიერო პერსონალი. გუნდში ექსპერტებს დიდხანს ჰქონდათ მსჯელობა და ბოლოს განსაზღვრეს რეკომენდაცია, რომ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში უნდა ჰქონდეს დაწესებულების პერსონალს მინიმუმ ერთი პუბლიკაცია, თუმცა დასკვნაში რჩევების ნაწილში ჩაიწერა, რომ იყოს უნდა მითითებული ჟურნალის ხარისხი, რანჟირება. ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი უფრო მკაცრი იქნებოდა დაწესებულების შეფასებისას, ეს რომ არ ყოფილიყო სასწავლო უნივერსიტეტი.

ნინო ამირანაშვილი შეეცადა განემარტა, თუ რატომ არის ეს სტანდარტი უფრო დაბალი შეფასებით. იქიდან გამომდინარე, რომ ახალი შექმნილი კვლევითი ინსტიტუტი არ ჩანდა აკადემიური პერსონალის საქმინობა, ასევე მათი დაფინანსების გზები. პერსონალი აღნიშნავდა, რომ საკუთარი დაფინანსებით მიდიოდნენ საერთაშორისო კონფერენციებზე.

რექტორმა აღნიშნა, რომ რაც კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა გამოიცა ორი მონოგრაფია, მაგალითად, იაშა ტანდილავას წიგნი, რომელიც ლაზური, ქართული, მეგრული ენების ერთ ძირს ადასტურებს. მან აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი წიგნი, რომელიც საჩუქრად გადაეცათ ასევე, საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით, რომ მეექვსე სტანდარტი იყო დაწერილი სწორი აქცენტებით, კერძოდ, ის აქცენტი გაკეთებული იყო კვლევით და სამეცნიერო აქტივობებზე და არა შედეგებზე. ასევე, საბჭოს წევრმა რნიშნა, რომ ამ სტანდარტის შეფასებას რაც შეეხება, აღწერითი ნაწილი არის ლიბერალური და შეფასება არის მკაცრი. მას აინტერესებს, თუ რატომ მოხდა ასე, ეს ხომ სასწავლო უნივერსიტეტია. ნინო

ამირანაშვილი განმარტავს, რომ გაცხადებული იყო, რომ დაწესებულებას უნდა გახდეს უნივერსიტეტი და განახორციელოს სადოქტორო პროგრამები.

ექსპერტმა სალომე ძაგნიძემ (სტუდენტი ექსპერტი) წარმოადგინა სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებით შეჯამება. ვიზიტის დროს გამოვლინდა რომ სტუდენტური გზამკვლევი არ იყო დასრულებული. უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა სტუდენტებს საკონსულტაციო საათებით, თუმცა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით როდესაც გადაიხედა სილაბუსები ყველგან არ იყო წარმოდგენილი საკონსულტაციო საათები. ექსპერტის განმარტებით, შემდეგი რეკომენდაცია შეეხებოდა ინფორმაციის გავრცელების უკეთ უზრუნველყოფას, ვებ-გვერდები, სოციალური ქსელის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელებას, ანონსების გაკეთებას და ა.შ.

გოგიტა მშვენიერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციებს. ის დაპირდა საბჭოს წევრებს, რომ დაწესებულება შეიმუშავებს გეგმას და დაახლოებით ერთი სემესტრი მაინც დასჭირდება ამ ყველაფრის მოგვარებას.

ექსპერტის გიგა ხოსიტაშვილიდ განმარტებით უნივერსიტეტს გააჩნია რამდენიმე შენობა, თუმცა ვიზიტის დროს გამოჩნდა, რომ რამდენიმე შენობაში მიმდინარეობს რემონტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა იყოს მწყობრში, ცეცხლმაქრები უნდა იყოს ყველა სართულზე განთავსებული. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობების დიდი ნაწილი არ იყო ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის, ასევე ვიზიტის დროს წყლის და გაზის მიწოდება არ ხორციელდებოდა უნივერსიტეტში. ასევე, გამოვლინდა, რომ ვიზიტის დროს ბიჭების საცხოვრებელში იყო 12 ადამიანზე ერთი საშხაპე და კარგი იქნებოდა კიდევ თუ დაემატებოდა საშხაპეები. ასევე, ექსპერტის განმარტებით საძინებლების გარდა უკეთესი იქნება სტუდენტებს ჰქონდეთ ერთი საერთო ოთახი. ასევე, სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ეზოს ტერიტორია უფრო კეთილმოწყობილი უნდა იყოს. ასევე, აღინიშნა ექსპერტის მხრიდან ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით ორი რეკომენდაცია: სამუშაო საათებთან დაკავშირებით და ასევე, ბიბლიოთეკის თანამშრომელმა არ იცის როგორ გამოიყენოს სამეცნიერო ბაზები და შესაბამისად ბაზების გამოყენების მაჩვენებელი არის ნული. ექსპერტმა გამოხატა აზრი, რომ შეიძლება დაწესებულებიდან მიავლინონ პროფესიონალები თბილისში არსებულ ბიბლიოთეკებში, სადაც ისინი აიმაღლებენ კვალიფიკაციას. ასევე, იყო წიგნები ბიბლიოთეკაში, რომლებზეც არ ჰქონდა დაწესებულებას საავტორო უფლება. რაც შეეხება საინფორმაციო რესურსებს, დაწსებულებაში იყო ადამიანი ვინც პასუხისმგებელი იყო ამ მიმართულებით, თუმცა ახალი დაწყებული ჰქონდა საქმიანობა. ასევე wifi-ს დაფარვას რაც შეეხება, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინტერნეტი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ერთ კორპუსში. ასევე მნიშვნელოვანია სწავლების მართვის ელექტრონული სისტემა, დაკავშირებითად დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, თუმცა ამასთან დაკავშირებით არ შეინიშნება განვითარების პერსპექტივა. ექსპერტის განმარტებით, სტუდენტის შეფასება იწერება ზეპირსიტყვიერად და შემდეგ აღინიშნება ჟურნალში. რაც შეეხება დაფინანსბების სასუალებებს, ფინანსები მიღებულია საპატრიარქოს მხრიდან და ძირითადად მოიცავს ხელფასს, კვებას და ა.შ. ასევე, არსებობს ვალდებულება, რომ მოხდეს ფინანსური აუდიტი დაწესებულებაში, რომელიც აქამდე არ განხორციელებულა.

საბჭოს წევრმა ირაკლი ღვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ ახალი კანონის მიხედვით ყველა სახელმწიფო დაწესებულებას უნდა ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების ოფიცერი, 1 სექტემბრიდან უნდა იყოს ეს კანონი ამოქმედებული. მას აინტერესებდა, თუ არსებობს თანამშრომელი,

სტრატეგიულ გეგმაში როდესაც არის ფინანსებზე საუბარი ხშირად ახლავს განმარტება „იხილეთ ბიუჯეტში", მან ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ სარჩევის ფორმა არ მისცენ ამ ფორმას და უფრო პრაქტიკული ფორმატი შეარჩიონ. ასევე, მისი თქმით, არის ხარვეზი ბიუჯეტში, რეალურად სხვა შემოსავალი - ეს გრაფა არის შემოსავლისა და ხარჯის სხვაობა, რომელიც გამოდის მოგება, ხოლო მოგება უნდა იყოს მითითებული ბიუჯეტში.

რექტორმა აღნიშნა, რომ რეალურად რამდენიც საჭიროა უნივერსიტეტის განვითარებისთვის საპატრიარქოსგან გამოიყოფა პერიოდულად თანხები. ამ ეტაპზე პანსიონატის მხოლოდ ერთი ფლიგელია გაკეთებული, შემდეგ თუ იქნება ფინანსური რესურსი გაკეთებული იქნება მეორეც. რექტორმა დასძინა, რომ წყლის პრობლემა იყო დაწესებულებაში, თუმცა გაკეთდა რეზერვუარი რომლის საშუალებითაც უწყვეტად არის წყალი. ვიზიტის დროს არ იყო, რადგან მისი გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობდა.

გოგიტა მშვენიერაძემ განმარტა მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ჩაატარა კვლევა და ახლანდელი უსაფრთხოების სტანდარტები ისეთ საკითხებს ითვალისწინებს, რომ მისი მოგვარება ერთ და ორ თვეში ვერ მოხერხდებოდა. მან აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა ჯერ არ ფუნქციონირებს ავტორიზაციის არ ქონის გამო, დაახლოებით ერთი კვირის ვადაში, სწავლის დაწყებისთვის უკვე იქნება მზად.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:23 საათზე.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა მარინა გედევანიშვილი 18:30 საათზე.

სხდომა განახლდა: 18:41 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს ავტორიზაცია 6 წლის ვადით მონიტორინგით 2 წლის თავზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 247865289) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2500-ით.

2. **შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა სხდომის წევრებს გადასულიყვნენ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე. მან განმარტა, რომ პირველ რიგში, საბჭო გაეცნობოდა ექსპერტთა მოსაზრებას იმ საკითხებზე, რომლებიც მონიტორინგის დროს იქნა განხილული. შემდგომ საბჭოს წევრები დასვამდნენ კითხვებს და ბოლოს მოხდებოდა დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციის წარდგენა.

ექსპერტმა ია მოსაშვილმა (ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ 2018 წლის 28 ივლისს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი და განისაზღვრა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება. მან მიმოიხილა ძირითადი რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის მთელი პერსონალისათვის უნდა მომზადდეს მკაფიო სამუშაოთა აღწერილობები შესრულების ინდიკატორებით, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სტრატეგიულ გეგმასთან;
- მედიცინის მიმართულებით კონკურსში პერსონალის არჩევისას და მათ შორის, ხელშეკრულებების გაფორმებისას, საჭიროა გადაიხედოს დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნები კლინიკურ დისციპლინებში;
- მოხდეს პერსონალის ხელშეკრულებების გადახედვა და შესაბამისი კორექტირების შეტანა პერსონალის პოზიციებიდან გამომდინარე;
- საერთაშორისო მობილობებისა და ზოგადად, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გააქტიურება პერსონალის განვითარების მიზნით;
- მოხდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაციის დროული ასახვა;
- ადაპტირებასთან სამუშაო იქნება განსახორციელებელი შესაბამის მოთხოვნის მიხედვით. ადაპტირება მოსაყვანია ნორმების სტანდარტთან;
- კლინიკური უნარების ლაბორატორია საჭიროებს დამატებით აღჭურვას მედიცინის დარგობრივი სტანდარტის შესაბამისად.

ავტორიზაციის საბჭოს დასკვნის შედეგად, 2018 წელს სდასუ-ს მიენიჭა 6 წლის ვადით ავტორიზაცია, სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა 1400 სტუდენტით, თუმცა მას შეეზღუდა 1 წლის ვადით სტუდენტთა მიღება. სწორედ ამ მიზნით განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი, რათა მომხდარიყო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-4 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულება სტუდენტთა მიღების შეზღუდვის მოხსნის მიზნით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაციების განსახორციელებლად დიდი შრომა გაწია. მისი განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ეხებოდა ძირითადად მეოთხე სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის აპრილსა და მაისში ცენტრში შემოვიდა წერილები სდასუ-ს თაობაზე, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე განიხილა 7.1 ქვესტანდარტი და ექსპერტებმა წარმოადგინეს დასკვნები ამ საკითხებზეც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში, 4.1 სტანდარტთან დაკავშირებით, რეკომენდებული იყო უნივერსიტეტის მთლიანი პერსონალისთვის მომზადდეს დაწვრილებითი სამუშაოთა აღწერილობები, რომლებიც

შესაბამისობაში იქნება სამოქმედო გეგმასთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 8-9 ივლისს, ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულება მუშაობს ამაზე, თუმცა შედეგი ჯერ-ჯერობით არ არის სახეზე. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია რჩება სავალდებულოდ განსახორციელებელი. გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ აფილირებული პერსონალის რაოდენობა განისაზღვროს იმ სამიზნე ნიშნულების მიხედვით, რომლებიც დადგენილი აქვს დაწესებულებას. ვიზიტის დროს გამოჩნდა, რომ დაწესებულება მზადაა აფილირებული პერსონალის რაოდენობა გაზარდოს, თუმცა არ ჩანდა გარკვეული წესი, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა მედიცინის მიმართულებას. მან აღნიშნა როპმ საჭირო იყო მედიცინის მიმართულებით დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გადახედვა კლინიკურ სპეციალობებში პერსონალის არჩევისას. აუცილებელი იყო, რომ კონკურსის პირობებში მოხდეს მისი გათვალისწინება. მოხდეს პერსონალის ხელშეკრულებების გადახედვა და შესაბამისი კორექტირების შეტანა პერსონალის სპეციფიკიდან გამომდინარე. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას შემუშავებული ქონდა 4 ტიპის ხელშეკრულება, თუმცა საჭიროებდა კორექტირების შეტანას. მან აღნიშნა, რომ რეკომენდებულია გადაიხედოს პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის ხელშეკრულებები, რომლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში, პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების ხელშეკრულების ვადა იყო 2-დან 4 წლამდე, ინდივიდუალურად კი არსებობდა ხელშეკრულებები სხვადასხვა ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კანონი ავალდებულებს ინსტიტუციას, რომ პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების ხელშეკრულების ვადები იყოს 3-დან 5 წლამდე.

ია მოსაშვილმა განმარტა, რომ ასეთი მდგომარეობა დახვდა ჯგუფს სახეზე ვიზიტის დროს. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია საერთაშორისო მობილობაში აქტიური მონაწილეობა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გააქტიურება. გასაუბრების დროს სტუდენტებიც და პერსონალიც აღნიშნავდნენ, რომ ამ კუთხით დაწესებულებას ჭირდებოდა განვითარება და რომ ისინი გეგმავენ ამ მიმართულებით გარკვეული ტიპის სამუშაოებს. რეკომენდაცია ეხებოდა ასევე სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას. ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებით იყო გარკვეული რჩევები, სასურველი იყო მოწვეული პერსონალის დაწესებულებაში მოწვევისას ტარდებოდეს წინასწარი კვლევა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი ვისაც გაესაუბრნენ ვიზიტების პერიოდში, ყველა პროფესორი იყო მოწვეული რეკომენდაციის საფუძველზე. შესაბამისად, სასურველია, რომ არ მოხდეს მხოლოდ რეკომენდაციის საფუძველზე პერსონალის მიღება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, პერსონალის შეფასების ინსტრუმენტების განვითარება, ასევე პერსონალის ინტეგრაციის პროცესისთვის სახელმძღვანელოს შემუშავება. სასურველია, რომ ორგანიზებულად დაიგეგმოს მიზნობრივი ტრენინგები. კარგი იქნებოდა თუ ეს ყველაფერი შეფასების კვლევის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე დაფუძნებული იქნებოდა, თუმცა ძალიან ბევრი ტრენინგი ტარდება. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულები უნდა იყოს უფრო მეტად კონკრეტული. დაწესებულებაში არ აღმოჩნდა გარკვეული წესი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა სამიზნე ნიშნულები. 4.2 სტანდარტთან მიმართებით, ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს ჯამურად აქვთ ძალიან ბევრი, მათ შორის 100 საათიც კი, თუმცა ინტერვიუების შედეგად არ გამოვლინდა ეს. შესაბამისად, უკეთესი იქნებოდა რეესტრში დაზუსტებულიყო აკადემიური პერსონალის დატვირთვის მაჩვენებლები. ასევე, მან დასძინა, რომ სასურველია დატვირთვის

სქემის შემუშავების პროცესი იყოს უფრო ღია. ამ შემთხვევაში შეფასება არის მეტწილ შესაბამისობაში სტანდარტთან მიმართებით. მეოთხე სტანდარტი არის მეტწილად შესაბამისი, ანუ დაწესებულებამ მეოთხე სტანდარტი გამოასწორა.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ამავე დოკუმენტში განმარტებულია პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის აღწერები, თუმცა, ამ დოკუმენტში არ არის მოცემული მიღების წესში რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს პერსონალი. საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ წესდებით განსაზღვრულია ასოცირებული პროფესორისთვის 3 ან 4 წელი. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასეც იყო.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფრომა თამარ ტუფინაშვილმა დასძინა, რომ მიუხედავად მტკივნეული გადაწყვეტილებისა, სასამართლომ ეს აქტი შეაჩერა გადაწყვეტილების მიღებამდე და ამ სტანდარტთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა ანგარიში ცენტრში. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვადებში მიიღო დასკვნის პროექტი, რაზეც არგუმენტირებული პოზიცია წარმოადგინა. თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ მათ რეკომენდაციებზე ბევრი იმუშავეს, მიზნობრივი ტრენინგები ჩაატარეს. მან განმარტა, რომ ძველი სტანდარტით გაცილებით უფრო ნაკლები მოთხოვნები იყო პერსონალის მართვასთან დაკავშირებით, შეიქმნა სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც სწორედ ამ ახალ სტანდარტებს ეხმაურება, აფილირების წესიც არსებობს უნივერსიტეტში. ასევე, სტრუქტურული ერთეულის დებულებაში გაწერილი იყო ყველას ფუნქცია, ახლა უკვე გაკეთდა ანალიზი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ხდება შეფასება, რომლის მიხედვით ხდება მიზნობრივი ტრენინგების განხორციელება.

თამარ ტუფინაშვილის განმარტებით, უნივერსიტეტის პოლიტიკა არის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობით ახალი პროფესიონალების მოზიდვა. მან აღნიშნა, რომ აფილირებული პროფესორების რაოდენობა გაიზარდა 37-დან 43-მდე. თამარ ტუფინაშვილის განმარტებით, მხოლოდ რეკომენდაციების საფუძველზე არ ხდება პერსონალის შერჩევა. მან დასძინა, რომ არჩევა ხდება უშუალოდ პირის პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილებით, კონკურსთან დაკავშირებით კომისიაც დგება. ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალის ადაპტირების წესი, რომელიც ხელს უწყობს მის როგორც პროფესიონალურ, ისე სოციალურ ადაპტირებას. მან განმარტა, რომ ამ პროცესში რექტორი ღებულობს მონაწილეობას. ასევე მან აღნიშნა, რომ ყველა ტრენინგი რაც კი ჩატარებულა, ყველა მიზნობრივია, ტრენინგებს უნივერსიტეტი აფინანსებს, ზოგი ტარდება თვითონ უნივერსიტეტში, ზოგი მის ფარგლებს გარეთ. 4.2-სტანდარტში აღნიშნულია, რომ სამიზნე ნიშნულები რეალური და მიღწევადია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იმით, თუ რამდენია აფილირებული პროფესორის ანაზღაურება. თამარ ტუფინაშვილის განმარტებით, გარკვეული ნაწილთან ფორმდება 12 თვიანი ხელშეკრულება, ზოგიერთ შემთხვევაში კი საათობრივი ანაზღურებაა, ეს უფრო კურაციულია სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა მიმართა ექსპერტებს, რომ როდესაც ისინი საუბრობენ იმაზე, რომ ინფორმაცია არ იყო რეესტრში გატარებული, საინტერესოა ეს რეალურად გადაამოწმეს მათ თუ არა. ექსპერტმა ანა გვრიტიშვილმა განმარტა, რომ მონაცემები ექსპერტებმა მიიღეს ცენტრიდან და შემდეგ გადამოწმდა ინტერვიუების საშუალებით პერსონალთან ინფორმაცია. რეალურად გამოვლინდა, რომ აცდენილი იყო რეესტრის მონაცემები და ინტერვიუებით

გამოკვეთილი ინფორმაცია. თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეული აკადემიური პერსონალის არჩევის ეტაპები აღნიშნულია ოქმებში. მან განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობს 4 ტიპის სხვადასხვა ხელშეკრულება, სადაც აღნიშნულია არამარტო საქართველოს კანონმდებლობით არსებული მოთხოვნები, არამედ ის „ბენეფიტები" რაც გააჩნია პერსონალს. თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებში, რომლებიც ექსპერტებმა ნახეს მითითებული იყო ვადა 2 წელი, რომელიც რეალურად არის ის დარჩენილი 2 წელი, რომელიც აითვლება 4 წლიანი კონტრაქტიდან. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ოქმი არსებობს ამის თაობაზე.

ექსპერტი ანა გვრიტიშვილი გამოეხმაურა აღნიშნულ განცხადებას და განმარტა, რომ ექსპერტებმა არჩევის შესახებ გრძანება ნახეს, კომისიის შექმნის შესახებ ოქმი კი არ უნახავთ. საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა, იმ ფაქტით რომ, როდესაც კონკურსი ცხადდება, თუ როგორ განისაზღვრება რამდენი პროფესორი უნდა იყოს დაწესებულებაში, რამდენი ასოცირებული პროფესორი და ა.შ.

თამარ ტუფინაშვილის განმარტებით, პერსონალის შერჩევის წესში არის განსაზღვრული. მან აღნიშნა, რომ რეალურად კონკურსი ცხადდება მიმართულებების მიხედვით. გარდა ამისა მედიცინის დარგობრივ სტანდარტებთან დაკავშირებით, ყველა პროფესორი იცნობს ამ სტანდარტებს.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა რჩევით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ სასურველია, თუკი მითითებული იქნება რამდენი ასოცირებული და სრული პროფესორია საჭირო თითოეულ პროგრამაზე.

ექსპერტის ანა გვრიტიშვილის განმარტებით, მოხდა სდასუ-ს შენობის ვიზუალური დათვალიერება. ასევე, ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადენელის მიეცათ რეკომენდაცია, რომ მომხდარიყო შენობის შემოწმება, რადგან აღენიშნებოდა გზარები. მან აღნიშნა, რომ სსიპ - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნამ გამოავლინა, რომ შენობა არის უსაფრთხო, შესაბამისად ეს რეკომენდაცია აღარ აქვთ ექსპერტებს. ასევე, ექსპერტმა დასძინა, რომ საევაკუაციო გასასვლელებში არ უნდა ყოფილიყო რკინის კარები, რაზეც დაწესებულების მხრიდან მიიღეს პასუხი, რომ გამოცვალეს კარი.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება: 19:51 საათზე.

სხდომა განახლდა: 20:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით და მოეხსნას სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ გრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 25[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს (ს/კ: 204886454) მოეხსნას სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა. ავტორიზაციის საბჭომ დააყენა შუამდგომლობა, რომ დაწესებულებამ 1 წლის ვადაში ცენტრს წარუდგინოს კომპეტენტური საექსპერტო ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რომლითაც დადასტურდება, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებში (N001493218, 06.03.2018; N002043619, 28.03.2019; N005287319, 31.07.2019) მოცემული ყველა რეკომენდაცია არის გათვალისწინებული და შენობა არის ცალსახად უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის. დაწესებულების მიერ დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების შესრულება გადამოწმდეს 1 წლის ვადაში ცენტრის მხრიდან.

3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარეს, ავტორიზაციის ექსპერტს დიანა ლეჟავას რომ მას გაეცნო საბჭოს წევრებისთვის ძირითადი მიგნებები.

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა კონტიგენტი წარმოდგენილი იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად (საბჭოს წევრთა ¼).

• დასრულდეს ს(ს)იპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების განახლებული რედაქციის დამტკიცების პროცესი.

• კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიური პერსონალის არჩევის წესში მკაფიოდ იქნას განსაზღვრული კონკურსანტისთვის ქულების მინიჭების სქემა: ასისტენტ-პროფესორების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას შემოქმედებითი-პროფესიული უნარების შეფასების კრიტერიუმებში და დამატებით კრიტერიუმებში შეფასების ქულობრივი სისტემა, ხოლო პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების შემთხვევაში განისაზღვროს როგორც პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებით-პრაქტიკული და დამატებითი კრიტერიუმების შეფასების ქულობრივი სისტემა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, დიანა ლეჟავას მიერ გამოითქვა აზრი, რომ დაწესებულებაში იდგა საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტებსა და პროფესორებს შორის თანაფარდობის საკითხის პრობლემა. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ კომპოზიოლოგიის ფაკულტეტზე ეს საკითხი გამოსწორებულია. თუმცა, დასკვნის რეკომენდაციებში მაინც აისახა, რომ აღნიშნული საკითხი სასურველია უფრო მეტად გამოსწორდეს. ასევე, მეორე საკითხი რაც დაწესებულებაში გამოსასწორებელია არის ხარვეზის არსებობა წესდებაში, სადაც მითითებული იყო რომ დეკანად შეიძლება არჩეული იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი სამეცნიერო გამოცდილებით, რომელიც არ მოდიოდა შესაბამისობაში დებულებასთან, სადაც მოთხოვილი იყო 5 წლიანი გამოცდილება. ასევე, დიანა ლეჟავამ აღნიშნა კიდევ ერთი ხარვეზი, კერძოდ, ფაკულტეტის მიმართულებები, კათედრები მოხსენიებული იყო, როგორც სტრუქტურული ერთეულები, რეალურად კი ეს არის აკადემიური მიმართულებები და ეს საკითხი გამოსწორებულია. რჩევების ნაწილში დარჩა ერთი საკითხი, რომელიც ეხება

არაიურიდიული სახის ინტერესთა კონფლიქტს, კერძოდ, ერთ-ერთი მიმართულების ხელმძღვანელი არის ხარისხის სამსახურის უფროსი.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა დასვა შეკითხვა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი პირი პროგრამული მიმართულების განვითარებაზე. ამ მიმართულებით ექსპერტებმა განმარტეს, რომ პასუხისმგებელი პირი არის ხელმძღვანელი და ის არის ანგარიშვალდებული. ასევე, პროგრამული მიმართულებების ხელმძღვანელებს ექვემდებარება მიმართულების პერსონალი, შესაბამისად მთლიანად მიმართულებაა ანგარიშვალდებული.

დაწესებულების რექტორმა რეზო კიკნაძემ განმარტა, რომ სამივე რეკომენდაცია, რომელიც ახსენეს ექსპერტებმა აღმოიფხვრება, როდესაც სწავლა დაიწყება. მან აღნიშნა, რომ რაც შეეხება მეორე საკითხს, პრინციპში პასუხი გაცემულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მხრიდან უნდა დამტკიცდეს ეს ცვლილება წესდებაში. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორია მოთხოვნა სტუდენტების მხრიდან კონსერვატორიაში ჩარიცხვაზე.

რექტორის, რეზო კიკნაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტების სიმცირე არ არის კონსერვატორიის ბრალი. მან აღნიშნა, რომ საქმე იმაშია, რომ კონსერვატორიის წინა მუსიკალური საფეხურები იმდენად მოშლილია, რომ ძალიან ძნელია ამის გამოსწორება. ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს კულტურული განათლების მნიშვნელობა. საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა უცხოელი სტუდენტები თუ ჰყავს დაწესებულებას. რექტორის, რეზო კიკნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში არიან ჯაზის ვოკალის მიმართულებით ექსპერტები. ჯაზის პროგრამა ბიუჯეტის გამო ძალიან პატარაა, მაგრამ ძალიან მიმზიდველი პარტნიორი უნივერსიტეტებისთვის. ესაა პროგრამის ხელმძღვანელის დამსახურება. რექტორმა, რეზო კიკნაძემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე უმეტესად უცხეოელები არიან კომპოზიტორები ირანიდან. ასევე, მან დაამატა, რომ დაწესებულებაში ძლიერია გაცვლითი პროგრამების სისტემა.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება: 20:20 საათზე.

სხდომა განახლდა: 20:35 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (ს/კ: 203850813) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 20:40 საათზე.

თავმჯდომარე

მარიამ დარბაიძე

მდივანი

ირაკლი ხვთისიაშვილი